ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **01-01181512715**

თარიღი: **31.05.2018**

ადრესატი:
შპს მომავლის სახლი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204460298
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ვ. ანჯაფარიძის ქ., N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 16 მაისის #10/0118136148-18 განცხადება და წარმოდგენილი გამწვანების პროექტი, რომლითაც ითხოვთ, ქ.თბილისში, ვარკეთილი -3 , ზემო პლატო, კორპუსი #10-ის მიმდებარედ (ს.კ.: 01.19.20.020.053) შპს „მომავლის სახლი“-ს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შეთანხმებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებელი ხე-ბუჩქოვანი მცენარეების რაოდენობა (ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი თუთა და ახალი გამწვანებული სივრცის მოსაწყობად გასაშენებელი ხე-მცენარეების რაოდენობა - 4 ძირი ტუია, 23 ძირი მარადმწვანე კვიპაროსი, 3 ძირი ცაცხვი, 1 ძირი იფანი) სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (379,07 კვ.მ) გასამწვანებლად შემოთავაზებულია ხე-ბუჩქოვანი მცენარეების მრავალფეროვანი სახეობები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, ამდენად, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილე

მაია ბითაძე

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
29.06.2018	29.06.2018

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	მიხეილ გურგენიძე 01017004431
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1611414
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1611414

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, ზემო პლატო, კორპუსი #10-ის მიმდებარედ, გზის მოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, №1 დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, №2 დანართით დადგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემის შესაბამისად, უსაფრთხოების და ტრექნიკური ნორმების სრული დაცვით.
2. ბრძანება ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება

თბილისი შარტავას ქუჩა #7
ტელ: (+995 32) 37 81 27 Email: auction@tbilisi.gov.ge
www.auction.tbilisi.gov.ge
www.iauction.ge



გამოსაყენებელი ტერიტორია. ფართობი: 7.5 კვ.მ.



"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

მ. აბულაძე

18.06. 2018

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"

ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

ლ. ჯოხაძე

2018

დროებითი საგზაო ნიშნები
პირობითი ნიშნები.

1.21.2	1 - ცალი
1.21.3	1 - ცალი
1.26	4 - ცალი
3.10	2 - ცალი
3.20	2 - ცალი
3.24 (20)	2 - ცალი
3.24 (40)	2 - ცალი
3.31	2 - ცალი
4.2.1	1 - ცალი
4.2.2	1 - ცალი
5.19.1	4 - ცალი
5.19.2	4 - ცალი
45м 8.2.1	2 - ცალი
ყვითელი ციმციმა	2 - ცალი
სასიგნალო ლენტი	
მეღროშე 2 ადამიანი	

შენიშვნა:

დროებითი სქემა შედგენილია „ოდმ 218.6.014-2014" და საქართველოს კანონის საგზაო მოძრაობის შესახებ -ის მოთხოვნებით

1. გამაფრთხილებელი ზონის სიგრძე შეადგენს 50მ-ს.
2. სავალი ნაწილის დახურული ზოლის სიგანის 0.3 მ. და ნაკადის სიჩქარის 30კმ/სთ შესაბამისი განდევნის ზონის სიგრძე საანგარიშო ფორმულის მიხედვით შეადგენს 2 მეტრს. ვიღებთ 10მ.
3. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძიდან გამომდინარე ბუფერული ზონაა 15მ.
4. სამუშაოთა წარმოების ზონის სიგრძეა 8მ.
5. სტაბილიზაციის ზონა შეადგენს 10 მ-ს.
6. ქვეითთა უსაფრთხო მოძრაობას უზრუნველყოფს ორი მეღროშე და შესაბამისი საგზაო ნიშნები

შ. პ. ს. "ვეი გრუპ"

☎ 579 02 00 03 დიდი დიღომი, მირიან მეფის ქ. 103 sturuaa@gmail.com

შ.პ.ს. მომავლის სახლი. ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი-3, ზემო პლატო, კორპუსი N10-ის მიმდებარედ ნაკვეთში (ს/კ 01.19.20.020.053) შესასვლელ-გამოსასვლელის მოწყობა; საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. საკონტაქტო პირი [illegible] დიმიტრი ტელ. 599 62 11 13

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დროებითი სქემა

ხელშეკრულება	დამკვეთი	თარიღი
04-25-01	405177428	15.05.2018

მ. 1:500

"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"	"შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე	ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე
გ. აბულაძე	ლ. ჯოხაძე
18.06 2018	2018



შ. პ. ს. "ვეი გრუპ"	საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა
☎ 579 02 00 03 დიდი დიღომი, მირიან მეფის ქ. 103 sturuaa@gmail.com	
ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი-3, ზემო პლატო, კორპუსი N10-ის მიმდებარედ ნაკვეთში (ს/კ 01.19.20.020.053) შესასვლელ-გამოსასვლელის მოწყობა; საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის სქემა. საკონტაქტო პიროვნება დიმიტრი ტელ. 599 62 11 13	

ხელშეკრულება	დამკვეთი	თარიღი
04-25-01	405177428	13.06.2018

მ. 1:500